TAF თარიღები: 22-25 სექტემბერი, 2022
VIP ჩვენება: 22 სექტემბერი, 2022

გალერეის აპლიკაციის მიღების ბოლო ვადა:	30/07/2022
სახელოსნოს აპლიკაციის მიღების ბოლო ვადა:	15/08/2022

განაცხადის ფორმა

taf TBILISI ART FAIR

ინფორმაცია აპლიკანტის შესახებ

გალერეის სახელწოდება:

დაარსების წელი:

დირექტორი:

ვებგვერდი:

ელ. ფოსტა:

მისამართი:

ტელ:

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

ტელ:

ელ. ფოსტა:

გალერეების სექცია

საჭირო კვ.მ. რაოდენობა:

X € 125 თითოეული კვ. მეტრისთვის
+ 150 განაცხადის საფასური

მთლიანი გადასახადი:

ყველა ფასი მოიცავს დღგს

მინიმალური ზომა: 15 კვ.მ.

სექცია "სახელოსნო" / არტისტები

☐	2.5 გრძივი მეტრი კედელი	X 150	ევრო
☐	5 კვ.მ. სივრცე	X 150	ევრო
☐	5 გრძივი მეტრი კედელი	X 300	ევრო
☐	10 კვ.მ. სივრცე	X 300	ევრო

ყველა ფასი მოიცავს დღგს

გალერეების სექციაში მონაწილეობის საფასური მოიცავს:

- საგამოფენო სივრცის ქირის საფასურს მთლიანი ღონიძიების განმავ ლობაში, მონტაჟისა და დემონტაჟისთვის განკუთვნილი პერიოდების ჩათვლით, პავილიონის საერთო ფართის დასუფთავება და დაცვა
- სტენდის გამყოფ კედლებს (3.25 მეტრის სიმაღლის), სტენდის კვადრატულობიდან გამომდინარე
- სტენდის განათებას, 1 წერტილი თითოეული 2,5 გრძივი მეტრისთვის
- 1 დენის წყარო, (220 volt, 2 kwt)
- რბილი იატაკი (სტანდარტულია ყველა დარბაზისთვის)
- დარბაზის საერთო განათებას
- 1 მაგიდას, 2 სკამს თითოეული სტენდისთვის
- 3 მონაწილის საშვს ან/და ხელოვანის საშვს
- 5 მოსაწვევისგამოფენის გახსნისთვის
- 2 VIP ბარათს TAF - ის გახსნისა და დახურვის საღამოებისთვის
- 10 ბილეთს, რომელიც ძალაშია ერთი დღის განმავლობაში
- 1 კვ.მ. ფართს საერთო საწყობში
- 2 WiFi პაროლს

სახელოსნოში მონაწილეობის საფასური მოიცავს:

- საგამოფენო სივრცის ქირის საფასურს მთლიანი ღონიძიების განმავ ლობაში, მონტაჟისა და დემონტაჟისთვის განკუთვნილი პერიოდების ჩათვლით, პავილიონის საერთო ფართის დასუფთავება და დაცვა
- 2.5 გრძივი მეტრის კედელს (2.75 მეტრის სიმაღლის) ან 5 კვ.მ. სივრცეს კედლების გარეშე (დამოკიდებულია მონაწილის არჩევანზე)
- სტენდის განათებას, 2 წერტილი თითოეული 2,5 გრძივი მეტრისთვის და/ან 5 კვ. მეტრისთვის, 4 წერტილი თითოეული 5 გრძივი მეტრისთვის და/ან 10 კვ. მეტრისთვის
- 1 დენის წყაროს (220 volt, 2 kwt) ხელოვნების ნიმუშების საჩვენებლად საჭიროების შემთხვევაში
- რბილ იატაკს (სტანდარტულია ყველა დარბაზისთვის)
- დარბაზის საერთო განათებას
- 1 მონაწილის საშვს ან/და ხელოვანის საშვს
- 1 VIP ბარათს TAFის გახსნის და დახურვის საღამოსთვის
- 2 მოსაწვევისგამოფენის გახსნისთვის
- 5 ბილეთს, რომელიც ძალაშია ერთი დღის განმავლობაში
- 1 WiFi პაროლს

კატალოგი: TAFის მიერ უზრუნველყოფილი იქნება გამოფენა გაყიდვის ონლაინ კატალოგი. აღნიშნული კატალოგის ან პუბლიკაციების ხარისხში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ მონაწილეებმა იქნება ეს ბეჭდური, ელექტრონული თუ გადმოსაწერი ფორმით, რაც წარმოდგენილი უნდა იქნეს გრაფიკული და წერილობითი მასალების სახით მისი ხარისხისა და სიზუსტის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით. მონაწილეების მიერ დაცული უნდა იქნეს აღნიშნული მასალების მიწოდებისთვის განკუთვნილი ვადები.

დამატებითი მომსახურების, როგორიცაა დამატებითი განათება, ელექტრო წერტილები და ავეჯი, პირობები და ფასები მოცემულია ტექნიკურ სახელმძღვანელოებში, რომლებიც გაეგზავნებათ შერჩეულ მონაწილეებს.

აპლიკაციის პირობები

განაცხადის მიღების პროცედურა და საფასური:

მოთხოვნები "გალერეების სექციისთვის":

1. განაცხადები TAF „გალერეების სექციაში“ მონაწილეობის თაობაზე, განკუთვნილია მხოლოდ იმ გალერეებისთვის, რომლებშიც ექსკლუზიურად ხდება თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. აპლიკანტი უნდა წარმოადგენდეს გალერეას, რომელიც 2022 წლის იანვრიდან ახორციელებს მუდმივ ოპერირებას. გალერეა აქტიურად უნდა იყოს ჩართული გამოფენების ორგანიზებასა და ხელოვნების ნიმუშების რეალიზაციაში.
   მიიღება ასევე ონლაინ გალერეები.

   გალერეებს ვურჩევთ განაცხადი გააკეთონ მაქსიმუმ 3 არტისტით, 25 მ2 ან ნაკლები ზომის საგამოფენო სტენდზე. პრიორიტეტი მიენიჭება საკურატორო კონცეფციის მქონე განაცხადებს.

   იმ გალერეებს, რომლებსაც სურთ საგამოფენო სტენდის დაქირავება, ასევე შეუძლიათ შემოიტანონ განაცხადი:

   a) ფილმით/ვიდეოთი, რომელიც არ არის გათვლილი მათ საგამოფენო სტენდში საჩვენებლად და საჭიროებს შედარებით დიდ ეკრანს. შერჩეული ნამუშევრების ჩვენება მოხდება ბაზრობის მიმდინარეობისას, ექსპო ჯორჯიის საკონფერენციო ოთახში, რომელიც გათვლილია 250 სტუმარზე. გთხოვთ, პროექტი აღწეროთ განაცხადის ფორმაში, ხოლო ფოტოები და ხელოვანის ავტობიოგრაფია (CV) გადმოგვიგზავნოთ pdf ფორმატში ელ ფოსტის საშუალებით: info@tbilisiartfair.art. ფილმის/ვიდეოს შერჩევის შემთხვევაში, წარმდგენი გალერეისათვის ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე მოხდება მისი ჩასმა ბაზრობის პროგრამაში.

   b) ინსტალაციებით, რომელიც არ არის გათვლილი მათი გალერეის საგამოფენო სივრცეზე. ინსტალაციების გამოფენა შესაძლებელია როგორც ბაზრობის შიდა პავილიონებში ან ექსპო ჯორჯიის გარე პერიმეტრზე, ეზოში (20 აკრი), ასევე ზოგიერთ შემთხვევაში, ინსტრალაციის, როგორც კონკრეტული ადგილისთვის შექმნილი ნამუშევრის, გამოფენა შესაძლებელია თბილისის მასშტაბით. დასაშვებია დიდი ზომის ინსტალაციების მიღება. გთხოვთ, პროექტი აღწეროთ განაცხადის ფორმაში, ხოლო ფოტოები და ხელოვანის ავტობიოგრაფია (CV) გადმოგვიგზავნოთ pdf ფორმატში ელ ფოსტის საშუალებით: info@tbilisiartfair.art. ინსტალაციის შერჩევის შემთხვევაში, წარმდგენი გალერეისათვის ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე მოხდება მისი დამატება ჩასმა ბაზრობის პროგრამაში. თუმცა ინსტალაციის ტრანსპორტირებასთან და დაშლა აწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა მოხდება გალერეის მიერ.

2. მიღებისას უპირატესობა მიენიჭება იმ გალერეებს, რომელთაც:

a) თავისი წვლილი შეაქვთ თანამედროვე მხატვრულ დისკურსში საკუთარი გამოფენების ხარისხის ან ორიგინალური იდეების მეშვეობით და რომლებიც ახორციელებენ ისეთი ღონისძიებების ორგანიზებას, როგორიცაა: ლექციები, სემინარები და ა.შ.;

b) ახორციელებენ მაღალ ხარისხიანი პუბ ლიკაციების გამოცემას საკუთარი პროგრამების დოკუმენტურად აღრიცხვის მიზნით;

c) მოქმედებენ, როგორც არა მხოლოდ რეალიზატორები იმ მხატვრების სახელით რომელსაც წარმოადგენენ, არამედ საქმიან ურთიერთობას ამყარებენ მუზეუმებთან და ხელოვნების დაწესებულებებთან;

d) აკმაყოფილებენ იმ ქვეყნის ან ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რო მელშიც ახორციელებენ საქმიანობას და ოპე რირებენ პრაქტიკაში აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

3. მიიღება მხოლოდ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ნიმუშები. აღნიშნული გულისხმობს იმ ხელოვნების ნიმუშებს, რომელიც შექმნილია მე 20 საუკუნის მიწურულიდან დღემდე. აღნიშნული მოიცავს:

a) ნახატებს, აკვარელს, გუაშს, ესკიზებსა და ნახაზებს;

b) ორიგინალურ გრაფიკას (გამოცემა არ უნდა აღემატებოდეს 50 ნაბეჭდს);

c) ორიგინალურ ქანდაკებებსა და ობიექტებს (მითითებული უნდა იყოს თუკი შექმნელი გარდაცვლილია);

d) ექპერიმენტული და თანამედროვე ხელოვნების ავანგარდული ნიმუშები

e) ფოტოხელოვნების ნიმუშები (ვინტაჟის ამსახველი და/ან გამოცემები არა უმეტეს 30), დოკუმენტური ფოტოები, ვიდეო და ციფრული ხელოვნების ნიმუშები.

არ მიიღება:

a) ყალბი ნიმუშები;

b) აღდგენილი, დაზიანებული ან განახლებული ნიმუშები;

c) გამოყენებითი ხელოვნების კატეგორიისთვის განკუთვნილი ნიმუშები (ძვირფასეულობა და ა.შ);

d) ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ნიმუშები, გობელინები, და ა.შ.

e) გარდაცვალების შემდგომ დასრულებული ნამუშევრები.

4. განაცხადი უნდა გაიგზავნოს TAF მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (info@tbilisiartfair.art) ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენით, არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა. სრულყოფილი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

a) შევსებულ და ხელმოწერილ განაცხადის ფორმას;

b) თითოეული შემოთავაზებული ხელოვანის ბიო გრაფიას, რომელიც უნდა შეიცავდეს მის მიერ მნიშვ ნელოვან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ გამოფენებში, ან ხელოვნების ნიმუშების გამოფენა გაყიდვებში მონაწილეობის სიას; ასევე წარ მოდგენილი უნდა იქნეს მისი ნიმუშების შეფასებისთვის საჭირო ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

c) თითოეული შემოთავაზებული ხელოვანის მაქ სიმუმ 5 ფოტო (მაქს. 72 dpi თითოეული ფოტოსთვის) – მნიშვნელოვანია გალერეის სახელწოდების, მხატვრის სახელის, დასახელების და ნამუშევრის შესრულების წლის მითითება თითოეული სურათის თვის/ფოტოსთვის;

d) გალერეის მიერ წარმოდგენილ ხელოვანთა სია;

e) გასულ წელს გამართული გამოფენების ჩამონათვალი;

f) სტენდში არსებული გამოფენის აღწერას და მოთხოვნილი სტენდის ზომას (ასევე ნებისმიერი დამატებითი მოთხოვნა საგამოფენო სტენდთან დაკავშირებით, აღჭურვილობის ჩათვლით);

განაცხადის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დასრულებული და ხელმოწერილი დოკუმენტი, აქვე გაცნობებთ, რომ TAF ს გააჩნია მისი ადრეული აპლიკანტებისთვის შედარებით მოქნილი მომსახურების გაწევის შესაძლებლობა სტენდების ფორმისა და ზომის კუთხით.

g) შერჩევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს TAF იღებს ერთპიროვნულად. უპირატესობა მიენიჭება სტენდებს, რომელშიც წარმოდგენილია ყველაზე წარმატებული/თანმიმდევრული ალტერნატივები. TAF ის მიერ განხორციელდება აპლიკანტისა და გამოფენა გაყიდვის ზოგადი ინტერესების დაბალანსება, TAF ის ზემოაღნიშნული დავებგვერდზე განთავსებული სპეციფიკური მიზ ნების გათვალისწინებით. აღნიშნულისთვის საჭიროა TAF ის რეპუტაციის, მნიშვნელობისა და მიმზიდველობის გარანტირებული უზრუნველყოფა ექსპონატებისა და მონაწილე გალერეების ოპტიმალური ხარისხის მეშვეობით.

5. TAFზე წარმოდგენილი ხელოვნების ყველა ნიმუში ხელმისაწვდომი უნდა იყოს რეალიზაცისითვის. აკრძალულია მომაბეზრებელი და აგრესიული გაყიდვების ყველა ფორმა.
TAFის განმავლობაში საკუთარი ხელოვნების ნიმუშების გამოფენასა და გაყიდვაზე პასუხისმგებელია მხოლოდ მონაწილე, ეს უკანასკნელი ასევეპასუხისმგებელიაყველაშესაბამისისაფასურის, გადასახადის გადახდაზე და/ან ნებისმიერი საჭირო ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვებაზე. მონაწილის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გარანტია იმის თაობაზე, რომ გამოფენილი ან გასაყიდად წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშებით და ორგანიზატორისთვის მიწოდებული დოკუმენტებით არ ირღვევა მესამე მხარეების ინტელექტუალური საკუთრების უფლება. ინტელექტუალური საკუთ რების უფლების დარღვევით გამოწვეულ ზა რალზე პასუხისმგებლობა ეკისრება მონაწილეს. მონაწილეთა მიერ საკუთარი საგამოფენო ნიმუშების რეკლამირება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ მათსავე სტენდთან, მხოლოდ TAFისთვის შერჩეულ ხელოვნების ნიმუშებთან დაკავშირებით და ხელოვნების/მხატვრების სახელით. ფოტოების და/ან ვიდეო გადაღება შესაძლებელია TAF ღონისძიების ჩატარების ადგილას. ჩანაწერები შესაძლოა მოიცავდეს მონაწილეთა ფოტოებს, მის თანამშრომლებს, აგენტებსა და სტენდებს, ასევე სტენდებზეწარმოდგენილნამუშევრებსადასაგნებს. მონაწილეებს ეკრძალებათ TAFის ან მის მიერ აკრედიტებული მედიის წარმომადგენლებისთვის ფოტოვიდეო გადა ღებების დროს ხელის შეშლა, შეფერხება ან რაიმე სახის დაბრკოლების შექმნა. მონაწილეები თანხმობას აცხადებენ ორგა ნიზატორის მიერ ამგვარი ჩანაწერების კომერციული მიზნებისთვის გამოყენებაზე ყოველგვარი საფასურის გარეშე.

6. ტარიფები:

გალერეების სექციაში კვადრატული მეტრის დაქირავების საფასური შეადგენს 125 ევროს, დღგ ის ჩათვლით (გადახდა ხდება მხოლოდ განაცხადის შერჩევის შემდეგ).

ლითოგრაფიის, ხელოვნების შესახებ წიგნების, პრინტების და სხვა ხელოვნების ნიმუშების გასაყიდად შეგიძლიათ განაცხადის გაკეთება 15მ2 ზომის სტენდზე, რომლის ღირებულაც შეადგენს 1500 ევროს.

7. საგამოფენო სტენდის სტრუქტურა და განათება:

გალერეების სექციის არქიტექტურა შედგება პერიფერიული და ცენტრალური საგამოფენო სტენდებისგან. განლაგება არ არის „ნაძვის ხის ტიპის“ და სტენდები განსხვავდება როგორც ფორმით, ისე რიგებს შორის გადაადგილების საშუალებით, დიდი სტენდების შემთხვევაში. პერიფერიაზე ყველაზე მცირე საგამოფენო სტენდის ზომაა 15 მ2. (3მx5მ). ცენტრში ყველაზე მცირე საგამოფენო სტენდის ზომაა

20 მ2. კედლების სისქე არის 50 სმ, ხოლო იატაკსა და ჭერს შორის მანძილი 8.5 მეტრი. საგამოფენო სტენდის ზემოდან განათების ღირებულება გათვალისწინებულია სტენდის დაქირავების ხარჯში და განათების კონსტრუქცია განთავსებულია იატაკიდან 3.5 მეტრის სიმაღლეზე. ხოლო თითოეული სტენდის შემთხვევაში საგამოფენო განათება (პროჟექტორი) გათვალისწინებულია ყოველ 2.5 გრძივ მეტრში. გთხოვთ, განაცხადში მიუთითოთ საგამოფენო სტენდის თქვენთვის მისაღები ზომები (მაქსიმუმ 60 მ2 მდე). გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შენობის ერთ მხარეს განთავსებულ შუშის ფანჯრებს ეკვლადი დღის განათების საშუალებას იმ სტენდებისთვის, რომელსაც იგი ესაზღვრება.

გალერეების სექციაში სტენდების დაქირავების საფასური ასევე მოიცავს:

- VIP პროგრამაზე და ექსკლუზიურ VIP ლაუნჯზე წვდომას
- მონაწილე გალერეების მიერ ნომინირებული კოლექციონერების უფასოდ განთავსებას თბილისში, 4* სასტუმროში (გალერეების მიერ წარსადგენი კოლექციონერების რაოდენობა დამოკიდებულია საგამოფენო სტენდის ზომაზე)
- განთავსების და ტვირთის გადაზიდვის კუთხით სპეციალურ შეთავაზებებს

8. გადახდის პირობები:

რეგისტრაციის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს გალერეის მიერ დასტურის მიღებიდან 7 დღის ვადაში. სტენდის დაქირავების ღირებულების სრულად გადახდა უნდა მოხდეს 10/08/2022.

მოთხოვნები სახელოსნოსთვის:

სახელოსნოში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გალერეებს, პოპ გალერეებს, დილერებსა და/ან ხელოვანებს, რომელთა საქმიანობის ექსკლუზიურ სფეროსაც წარმოადგენს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელოსნოს შეუძ ლია უზრუნველყოს:

- სივრცე (ან დამატებითი სივრცე) გალერეებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ/ან არ იღებენ „გალერეების სექციაში“
- სივრცე ვირტუალური გალერეებისთვის, ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრეებისთვის
- სივრცე ხელოვანებისთვის, ასევე ხელოვანთა კოლექტივებისთვის პირდაპირი მიმართვის შემთხვევაში
- „გალერეების სექციასთან“ დაკავშირებული განა

ცხადის წარდგენისთვის საჭირო ყველა პირობა და დოკუმენტი ასევე გამოიყენება სახელოსნოს შემთხვევაშიც.

სახელოსნოს თითოეულ მონაწილეს ექნება არჩევანის საშუალება 2,5 გრძივი მეტრის მქონე კედლიან სივრცესა და 5 კვ.მ. ღია სივრცეს (კედლის გარეშე) შორის.

განსაკუთრებული მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი თუკი აღნიშნული წინააღმდეგობაში არ მოდის TAF - ის მიზნებთან.

სახელოსნოს სექციის მონაწილეებს არ ეკისრებათ განაცხადის საფასურის გადახდა და მოუწევთ მხოლოდ 150 ევროს გადახდა.

TAF-ში მონაწილეობის აპლიკაცია ვალიდურად მიიჩნევა მხოლოდ ყველა საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, რომელიც მიწოდებული უნდა იქნეს ორგანიზატორისთვის არაუგვიანეს 15/08/2022

ყველა მოცემული ფასი შეიცავს დღგს. მითითებულ თანხას დამატებითი ხარჯი არ დაეკისრება.

TAF 2022 -ის "სექციებისთვის" საჭირო განაცხადის ფორმის, ასევე დეტალური პირობებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ჩვენი ვებ გვერდიდან: http://tbilisiartfair.art

განაცხადთან დაკავშირებით ნებისმიერ დროს დაგვიკავშირდით!

info@tbilisiartfair.art.

ადგილმდებარეობა, ხანგრძლივობა:

TAF 2022 გაიმართება საგამოფენო ცენტრ ექსპო ჯორჯიის ტერიტორიაზე, წერეთლის გამზირი 118ა, 0159 თბილისი. საქართველო

თარიღები:	22-25 სექტემბერი, 2022
წინასწარი ჩვენება და VIP გახსნა:	22 სექტემბერი 12:00 21:00
საგამოფენო საათები:	23 სექტემბერი 12:00 - 21:00
	24 სექტემბერი 12:00 - 20:00
	25 სექტემბერი 12:00 - 20:00

TAF 2019ის განაცხადის ფორმებისა და დეტალური პირობების შესახებ ინფორმაციის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ჩვენი ვებგვერდიდან:
http://tbilisiartfair.art

დამატებითი მომსახურების დამატებითი განათება, შტეფსელის როზეტები და ავეჯი, ღირებულების და პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ტექნიკური სახელმძღვანელოდან, რომელიც დაეგზავნება ყველა მონაწილეს.

თქვენს განაცხადთან ან საქართველოს შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნებისმიერ დროს!
info@tbilisiartfair.art

ველით თქვენს განაცხადებს!

სტენდისთვის განკუთვნილი სივრცეების გამოყოფა:

სტენდისთვის განკუთვნილი სივრცეების გამოყოფა უმთავრესად დამოკიდებულია რეგისტრირებული ექსპონატების კლასიფიკაციაზე, ასევე მონაწილესა და ორგანიზატორს შორის მიმდინარე განხილვების შედეგებსა და მიღწეულ შეთანხმებებზე.
არ არსებობს სტენდის ზომასთან დაკავშირებული შეზღუდვა იმ აპლიკანტისთვის, რომელიც დააკმაყოფილებს მონაწილეობისათვის განსაზღვრულ ოფიციალურ და მატერიალურ პირობებს. თუმცა, საგამოფენო დარბაზებს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული გეგმა და ზოგიერთი სტენდის შეცვლა შეუძლებელია. „კუნძულის ტიპის“ (ოთხივე მხრიდან ღია) სტენდები, რომელიც განთავსებულია საგამოფენო დარბაზის შუაგულში შესაძლოა დაიყოს მონაწილეებს შორის ან მოხდეს ერთ სტენდად გაერთიანება, ხოლო მათი ზომა, ფორმა და ადგილდებარეობა უნდა დარჩეს უცვლელი. პავილიონის კედლებთან ახლოს განთავსებული, „ერთი მხრიდან ღია“ სტენდების ზომის ზრდა ან შემცირება შესაძლებელია კედლების მოძრაობით (აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ორგანიზატორსა და მონაწილეებს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე).

ორგანიზატორის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს TAF ისკარგადორგანიზებულიდასტრუქ ტურირებული დაგეგმარება. დაუშვებელია გამოყოფილი სტენდების ან მისი ნაწილის გადაცემა მესამე მხარეებისთვის მონაწილეების მიერ, იქნება ეს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ თუ მის გარეშე.

ერთობლივი სტენდის დამტკიცება უნდა მოხდეს ორგანიზატორის მიერ, რადგანაც გამოყოფისას აღნიშნული მიიჩნევა ერთ სტენდად.
თუმცა თითოეული მონაწილე ვალდებულია წარადგინოს დამოუკიდებელი განაცხადი და გადაიხადოს ყველა შესაბამისი განაცხადი.

მონაწილე დაუყოვნებლივ იქნება ინფორმირებული იმ შემთხვევაში თუ სტენდის სივრცე არ არის ხელმისაწვდომი ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევაში, მოხდება მონაწილისთვის სხვა ვარიანტის შეთავაზება, ხოლო უარის შემთხვევაში მას გააჩნია მონაწილეობის საფასურის უკან დაბრუნების უფლება. ამ შემთხვევაში, მონაწილეს არ აქვს იმ ზარალზე პრეტენზიების გამოხატვის უფლება, რომელიც აღემატება აღნიშნულ ანაზღაურებას.

გაუქმება, შეწყვეტა:

მონაწილეობის ხელშეკრულების გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ დასტურის წერილის მიღებამდე.

მონაწილეებს არ აქვთ ხელშეკრულების გაუქმების ან შეწყვეტის უფლება დასტურის წერილის მიღების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზატორი იტოვებს უკვე გადახდილ განაცხადის საფასურს. გარდა ამისა, მონაწილეს, რომელმაც მიიღო თანხმობა ხელოვნების ბაზრობაში მონაწილეობის შესახებ, დაეკისრება სააპლიკაციო გადასახადი და ასევე ნებისმიერი დამატებითი ხარჯის გადახდა, რომელიც წარმოიქმნება ორგანიზატორისთვის მონაწილის მიერ ღონისძიებაზე არ დასწრების შედეგად, თუ ამ უკანასკნელის არყოფნა არ არის გამოწვეული მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

ბაზრობის გახსნის თარიღამდე 30 დღით ნაკლებ ვადაში გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე ვალდებულია სრულად გადაიხადოს საფასური. ბაზრობის გახსნის თარიღამდე 60 - 30 დღით ადრე გაუქმების შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს მონაწილეობისთვის განკუთვნილი საფასურის 50%. ბაზრობის გახსნის თარიღამდე 60 დღით ადრე გაუქმების შემთხვევაში მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს მონაწილეობისთვის განკუთვნილი საფასურის 30 %

გადახდის პირობები:

სტენდებისთვის ადგილის გამოყოფის შემდეგ, მონაწილე მიიღებს მონაწილეობისთვის საჭირო საფასურისა და სხვა ხარჯების ინვოისს.

ყველა ვალდებულების დაფარვა უნდა მოხდეს დროულად, რათა ექსპონენტმა შეძლოს წინასწარ დაჯავშნილი სტენდის სივრცის დაკავება.

TAF მონაწილეობის მიზნით ორგანიზატორისათვის გადასახადების გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები ბანკი:	სს „თიბისი ბანკი“,
	თბილისი, საქართველო
SWIFT კოდი:	TBCBBGE22
მიმღების IBAN:	GE64TB0600000120070856
მიმღების სახელწოდება:	სს „ექსპო ჯორჯია“
შუამავალი ბანკი:	DEUTSCHE BANK AG, ფრანკფურტი/მაინი, გერმანია
SWIFT კოდი:	DEUTDEFF, BLZ: 50070010

გადახდასთან დაკავშირებით ინვოისში მითითებული ვადების დაუცველობის შემთხვევაში, ორგანიზატორი იტოვებს ხელშეკრულების შეწყვეტისა და დაჯავშნილი სივრცის სხვაგვარად განკარგვის უფლებას.

ინვოისთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზია დაუყოვნებლივ, მიღებიდან მაქსიმუმ 1 კვირის ვადაში, უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით. ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდომ მიღებული პრეტენზიები არ განიხილება.

ორგანიზატორი ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს სრული ანაზღაურების გადახდა თუკი მონაწილის მიერ არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება. აღნიშნული გავლენას არ ახდენს ზარალთან დაკავშირებულ პრეტენზიებზე. ორგანიზატორის მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მონაწილეს გააჩნია უკვე გადახდილი თანხის პროპორციული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

მონაწილის მოთხოვნით ინვოისის მესამე მხარისათვის გაგზავნა, არ იწვევს მონაწილისაგან მისაღები თანხის მოთხოვნის უფლების უარყოფას. ეს უკანასკნელი ვალდებულია მისაღები თანხის სრულად გადახდაზე.

შენახვა და დაგვიანებული მიწოდება:

დაცული საერთო საცავი ხელმისაწვდომია ყველა მონაწილისთვის. აღნიშნულ საცავში შესვლის უფლება აქვს მოქმედი მონაწილის საშვის მქონე პირებს. შენახულ ნივთებზე პასუხისმგებელია მონაწილე. დიდი ზომის ექსპონატების შემდგომი მიწოდება უნდა განხორციელდეს გამოფენა-ფაყიდვის სამუშაო საათების შემდეგ.

განათება, ელექტროგაყვანილობა, დასუფთავება:

დარბაზები სათანადოდ განათებულია. შესაძლებელია დამატებითი განათება, რომლის შეკვეთაც უნდა განხორციელდეს ორაგნიზატორის მიერ მონაწილეთათვის მიწოდებული „დამატებითი მასალებისა და აღჭურვილობის“ ნუსხის გამოყენებით.

ელექტრო კავშირების მონტაჟი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ორგანიზაციის ოპერატიების გუნდის ან ორგანიზატორის მიერ უფლებამოსილი კომპანიის მიერ ოპერაციების გუნდის ზედამხედველობით.

დაცული უნდა იქნეს ხანძარსაწინააღმდეგო, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესები.

ორგანიზატორი პასუხისმგებელია ტერიტორიის, დარ ბაზებისა და გასასვლელების დასუფთავებაზე. გამოფენაგაყიდვის გახსნამდე სტენდის ტერიტ რიის საბოლოო დასუფთავების გარდა, სივრცის დასუფ თავებაზე პასუხისმგებლები არიან ექსპონენტები. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ დასუფთავების სერვისის შეკვეთა ორგანიზატორის მიერ მათთვის მიწოდებული „დამატებითი მომსახურების ნუსხის“ გამოყენებით.

უსაფრთხოება, დაზღვევა, პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება:

ორგანიზატორს გააჩნია მუდმივი უსაფრთხოების სამსახური საგამოფენო პავილიონებში და ღია სივრცეშიზოგადიუსაფრთხოებისადაშესასვლელების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით.

ტერიტორიაზე არსებულ ყველა სტუმარსა და მონაწილეს უნდა გააჩნდეს მოქმედი შესასვლელი ბილეთი ან მონაწილის საშვი, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს უსაფრთხოების სამსახურს შემოწმების მიზნით. აღნიშნული ზოგადი კონტროლი არ მოიცავს ინდივიდუალური სტენდების (ექსპონატების) ან სტენდის ნაწილების უსაფრთხოებასა და კონტროლს. მონაწილეების მიერ მიზანშეწონილია სათანადო დაზღვევის უზრუნველყოფა მონტაჟის, გამოფენისა და დემონტაჟის პერიოდებისთვის. სტენდის უსაფრ თხოებისთვის პერსონალის დაქირავება შესაძ ლებელია მხოლოდ ორგანიზატორის ან ამ უკანასკნელისთვის მისაღები კომპანიისგან.

ღონისძიების ორგანიზატორი არ იღებს ექსპონატების, სტენდის აღჭურვილობის ან სტენდებთან მომუშავე პირების კუთვნილი ნივთების დაცვის პასუხისმგებლობას.

მონაწილის მიერ უპირობოდ უნდა მოხდეს ორგანიზატორისთვის იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ამ უკანასკნელის მიმართ შეიძლება წარმოიქმნას მესამე მხარეების მიერ მონაწილის გამოფენასთან, მონაწილის სტენდის დიზაინთან, მონაწილის სტენდზე გამოფენილ პორდუქციასთან, მესამე მხარეების ინტელექტუალური საკუთრების დარღვევასთან (კერძოდ, და არა მხოლოდ, საავტორო უფლება, გამოსახულებათა და სახელწოდების უფლება, სავაჭრო ნიშნის უფლება, კონკურენციის შესახებ კანონით განსაზღვრული უფლება ან პერსონალურობის უფლება) ან სხვა დადგენილ მოთხოვნებთან დაკავშირებით. წინამდებარე ვალდებულება ანაზღაურების შესახებ მოიცავს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და დანახარჯს (მათ შორის და არა მხოლოდ, გაფრთხილების ხარჯები, სამართლებრივი ხარჯები

და სასამართლოს მოსაკრებლები).

თუკი ზარალთან დაკავშირებული პრეტენზია გამომდინარეობს (1.) სხეულის დაზიანების, ან სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის შედეგად ან (2.) მომხმარებელთა დაცვის შესახებ არსებული კანონის დარღვევის შედეგად, მოქმედი სამართლებრივი სტრუქტურის ფარგლებში, ორგანიზატორი საკუთარ თავზე იღებს უნებლიე და დაუდევარი ქმედებებით გამოწვეულ ზარალთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას.

ორგანიზატორი ასევე პასუხისმგებელია ხელშეკ რულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდე ბულებების თითოეული დარღვევის შემთხვევაში. ხელ შეკრულებით გათვალისწინებულ ძირითად ვალდებულებებს განეკუთვნება ხელშეკრულების შესრულებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქო ნე ვალდებულებები. აღნიშნული ეხება ყველა პრეტენზიას, რომელიც დაფუძნებულია ან გამომ დინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

ორგანიზატორი პასუხისმგებელი არ არის მცირედი დაუდევრობით გამოწვეულ ქმედებებზე; ასევე ხელშეკრულებასთან და/ან სხვა სახის კანონიერად წარმოქმნილ ზარალთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრეტენზიებზე, მათ შორის რომელიც უკავშირდება არაპირდაპირ ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც წარმოქმნილია ორგანიზატორის მიერ წინასწარგანზრახულად ან ამ უკანასკნელის უხეში დაუდევრობის შედეგად.

ზარალთან დაკავშირებით ორგანიზატორის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება, მხოლოდ იმ ზარალით, რომელიც ორგანიზატორის მიერ მიჩნეული იყო ხელშეკრულების დარღვევის პოტენციურ შედეგად ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ან რომელიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ორგანიზატორის მიერ სიფრთხილის აუცილებელი ზომების გამოყენების დროს.

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშ ნული შეზღუდვები სრულად გამოიყენება იმ უწყე ბებთან, თანამშრომლებთან, კანონიერ წარმო მადგენლებთან, ასისტენტებთან და სხვა და სხვა აგენტებთან მიმართებაში, რომელთაც ორგანიზა ტორის მიერ დავალებული აქვთ ხელშეკრულების შესრულება (ასევე მათ პირად პასუხისმგებლობას თან მიმართებაში).

აღნიშნული გამოიყენება წინამდებარე ხელშეკ რულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავში რებული პრეტენზიებისას. თუკი ორგანიზატორი ფორს მაჟორული ვითარების ან მისგან დამოუ კიდებელი მიზეზის გამო იძულებული გახდება დროე ბით გაანთავისუფლოს ან სამუდამოდ დახუროს საგამოფენო სივრცე ან მისი ნაწილი, გადადოს, შეამოკლოს ან გააფართოვოს ღონისძიება, ეს მონა წილეს არ ანიჭებს არანაირ უფლებამოსილებას, კერძოდ ორგანიზატორის წინააღმდეგ ზარალთან დაკავშირებული პრეტენზიების წამოყენების თვალს აზრისით.

„მონაწილეობის პირობებში“ არსებული პასუხის მგებლობისშეზღუდვებისმიუხედავად,ორგანიზატორი პასუხისმგებელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც დამნაშავეა. ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი შესყიდვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ რისკებზე, რომელიც შეიცავს კონკრეტული ნივთების შესყიდვას, თუკი ხელშეკრულებით აღნიშნული საკითხი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ორგანიზატორი არ ახორციელებს მონაწილეების სტენდების სპეციალურ დაზღვევას. ორგანიზატორის მიერ შემუშავებულია გამოფენის დაზღვევის ხელ შეკრულება რომელიც მოიცავს ყველა დაზღვეულ რისკს როგორიცაა ხანძარი, ძარცვა შეჭრით და ძა ლის გამოყენებით, ქურდობა, დაზიანება, წყლით მი ყენებული ზარალი.

მონტაჟი და დემონტაჟი:

საგამოფენო სტენდი და ყველა სხვა შენახული ხელოვნების ნიმუში მზად უნდა იყოს შეფასებისთვის მაქსიმუმ 21/09/2022 20:00 სთ.
ხელოვნების ნიმუშები სრულად უნდა იქნეს წარდგენილი ორგანიზატორისთვის, მათ გასაყიდად შეთავაზებამდე. წინამდებარე წესის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ღონისძიებიდან გარიცხვა.

მონტაჟი უნდა დასრულდეს არა უგვიანეს 21/09/2022 18:00 სთ სთვის. აღნიშნული დროისთვის ასევე დასრულებული უნდა იყოს გასასვლელებიც.

საგამოფენო სტენდის დემონტაჟი არ უნდა დაიწყოს ღონისძიების დასრულებამდე ანუ 25/09/2022 20:00 საათამდე, ხოლო დემონტაჟი უნდა დასრულდეს 27/09/2022 12:00 საათამდე.

მონაწილეთა საშვები:

თითოეული მონაწილე მიიღებს 2 საშვს, რომელიც ძალაშია სტენდის აგების სამუშაოების დაწყების პირველი დღიდან მისი დემონტაჟის უკანასკნელ დღემდე.

აღნიშნული საშვები განკუთვნილია იმ ადამიანების მიერ ექსკლუზიურად გამოყენების მიზნით, რომელთა სახელზეც გაიცა და დაუშვებელია მათი გადაცემა.

ჯავშნები, დასკვნითი დებულებები:

წინამდებარე დოკუმენტზე (მონაწილეობის პირო ბები) ხელისმოწერით, მონაწილე აცნობიერებს და ეთანხმება მასში მითითებულ პირობებს. მონა წილეობის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ ყველა პირობა სავალდებულო და სამართლებრივი ძალის მქონეა მხარეებისთვის.

მხოლოდ მონაწილეა პასუხისმგებელი მასპინძელ ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან, გაიდ ლაინებთან და სხვა რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, მაშინაც კი თუ ორგანიზატორის „მონაწილეობის პირობების“ შინაარსი ამგვარი რეგულაციებისგან განსხვავებულია. მის მიერ

სწრაფად და დეტალურად უნდა იქნეს მოპოვებული ინფორმაცია ღონისძიების ადგილას უპირატესი ძალის მქონე რეგულაციების შესახებ. ორგანიზატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მონაწილისთვის წარმოქმნილ ზიანსა და სხვა ხარჯებზე.

ორგანიზატორი უფლებამოსილია გადადოს, შეამოკლოს, გააფართოვოს ან გააუქმოს ღონისძიება, ასევე დროებით ან სამუდამოდ შეწყვიტოს იგი, ინდივიდუალურად ან ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე, თუკი ამგვარი ქმედების საჭიროება გამოწვეულია ისეთი გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო როგორიცაა: ფორსმაჟორული ვითარება, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, სახალხო მღელვარებები, გაფიცვები, მოძრაობის ან კომუნიკაციის მოშლა ან დაბრკოლება. გადადების, შემოკლების, გაფართოების ან დასრულების შემთხვევაში მონაწილეს არ გააჩნია მისთვის აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მონაწილეს გააჩნია ხელშეკრულების გაუქმების უფლება, იმ შემთხვევაში თუ ხსენებული ქმედებების გამო იგი დაკარგავს ღონისძიებაში მონაწილეობის ინტერესს და თუკი მონაწილე უარს იტყვის აღნიშნულის შედეგად მისთვის გამოყოფილი სტენდისთვის განკუთვნილ სივრცეზე. ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე წერილობით განაცხადის გაკეთება. ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში, ორგანიზატორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მონაწილის მხრიდან წარმოქმნილ ზარალზე და/ან სხვა დანაკარგებზე.

განაცხადის ფორმაზე ხელისმოწერით აპლიკანტი აღიარებს და სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნევს ორგანიზატორის მიერ განსაზღვრულ მონაწილეობის პირობებს, ტექნიკურ გაიდლაინებს და სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებს. სახელშეკრულებო ურთიერთობები ექვემდებარება მხოლოდ აღნიშნულ პირობებს. ექსპონენტის მხრიდან წარმოდგენილი განსხვავებული ან დამატებითი პირობები არ მიიჩნევა ხელშეკრულების ნაწილად მაშინაც თუკი ორგანიზატორი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება მათ. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება გადახდის განსხვავებულ პირობებს.

აღნიშნული დებულებების ნაწილობრივი გაუქმება ან მათში ხარვეზების არსებობა გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენ დებულებებზე. ასეთ შემთხვევაში, მხარეების მიერ უნდა მოხდეს ძალადაკარგული დებულების ისეთი დებულებით ჩანაცვლება ან ხარვეზის გამოსწორება იმგვარი დებულებით, რომელიც მხარეებს კომერციული მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს.

შესრულების ადგილი, მოქმედი კანონმდებლობა იურისდიქციის სფერო, დავების მოგვარება:

შესრულების ადგილს წარმოადგენს ორგანიზატორის სამუშაოს ძირითადი ადგილსამყოფელი.

მონაწილესა და ორგანიზატორს შორის სამართლებრივი ურთიერთობები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეები ყველა ღონეს იხმარენ მათ შორის წარმოქმნილი დავების მეგობრული გზით მოგვარების მიზნით. დავების მეგობრული გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე „მონაწილეობის პირობებიდან“, ისევე როგორც მონაწილეებსა და ორგანიზატორს შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ინტერპრეტაციის შედეგად წარმოქნილი სარჩელები, აზრთა სხვადასხვაობა, კითხვები, პრეტენზიები ან დავები ექვემდებარება საქართველოს სასამართლოსა და მოსამართლეების იურიდიქციის სფეროს.

ხელმოწერა

აპლიკანტის სახელით ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ წინამდებარე განაცხადსა და მის დანართში მითითებული ინფორმაცია ზუსტი და უტყუარია.

აპლიკანტის სახელით ასევე ვაცხადებ და ვადასტურებ, რომ წავიკითხე და გავეცანი TAF 2022 - ის პირობებს და თანხმობას ვაცხადებ მათ შესრულებაზე.

პოზიცია:

სახელი, გვარი:

თარიღი:

ხელმოწერა:

info@tbilisiartfair.art

http://tbilisiartfair.art/team